




დამტკიცებულია

რექტორის ბრძანება № 01-03 10.01.2023

რექტორი  პ. ზვედელიძე



სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი
დებულება

ნდ №2-030101-13

ბათუმი

2023

შინაარსი

პრეამბულა: გავრცელების სფერო, ნორმატიული საფუძვლები, ძირითადი განმარტებები და შემოკლებები.....3

მუხლი 1. ზოგადი დებულებები4

მუხლი 2. ბსსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი და საერთაშორისო საქმიანობა4

მუხლი 3. სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები.....4

მუხლი 4. საერთაშორისო თანამშრომლობა4

მუხლი 5. ინტელექტუალური საკუთრების უფლება.....4

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სუბიექტები5

მუხლი 7. აკადემიური ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება.....5

მუხლი 8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური საფუძვლები, დაფინანსების წესი5

მუხლი 9. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფორმალიზება6

მუხლი 10. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და საგანმანათლებლო პროცესის ურთიერთკავშირი6

მუხლი 11. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და დაგეგმვა. მიზნობრივი პროექტები. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა6

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება; 2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა;
3. მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები; 4. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, 5. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფორმალიზება

მუხლი 12. კონკურსები. საკონკურსო კომისიები9

1. მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტების კონკურსი; 2. საკონკურსო კომისია; 3. სტუდენტთა ნაშრომების საკონკურსო კომისია; 4. კონკურსის შედეგების გასაჩივრება

მუხლი 13. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობა12

მუხლი 14. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლი და აღრიცხვა12

მუხლი 15. სამეცნიერო პერსონალის უფლებები და ვალდებულებები.....13

მუხლი 16. დებულების დანართები.....13

მუხლი 17. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა13

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები13

ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი.....20

პრეამბულა

1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული დებულების დამტკიცების აქტით;
2. დებულებას და მასში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიან კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, იურიდიული სამსახურის უფროსი და სხვა პირები (საჭიროებისამებრ). სამუშაო ჯგუფის მუშაობას კოორდინირებს და საბოლოო პროექტის მომზადებას უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
3. დებულებაში ცვლილებები მუშავდება დებულების გამოყენების შედეგების, საჭიროებისამებრ ან/და იმ ნორმატიული დოკუმენტების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლის საფუძველზეც შემუშავდა ეს წესი;
4. დებულებაში ცვლილებების შეტანას აკონტროლებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. დებულების ორიგინალი (ელ. ვერსიის საფით) ინახება ბნსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

გავრცელების სფერო

1. წინამდებარე დებულება ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის მარეგულირებელი (შიდა ნორმატიული) დოკუმენტია;
2. დებულება ვრცელდება ყველა საკითხზე, რომელიც წარმოადგენს ამ დებულების რეგულირების სფეროს, და ყველა დოკუმენტზე, რომლის მიღების საფუძველს წარმოადგენს წინამდებარე დებულებაში არსებული წესები.

ნორმატიული საფუძვლები

1. საქართველოს კანონი განათლების ხარისხის განვითარების შესახებ;
2. საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ;
3. საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
4. უმაღლესი განათლების სფეროში საქართველოს მოქმედი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები და სტანდარტები;
5. უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტები და სახელმძღვანელო პროცესები (ESG - European Standards and Guidelines);
6. European Standards and Guidelines (ESG-2015)-ის სტანდარტები;
7. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9001:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემები - მოთხოვნები;
8. საერთაშორისო სტანდარტი ISO 9000:2015 ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და ლექსიკონი;
9. ნდ №2-010101 – ბნსუ-ს წესდება;
10. ნდ №2-010102 – ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი დებულება (შინაგანაწესი);
11. ნდ №2-020101-01 – დოკუმენტების მართვის პროცედურა.

ძირითადი განმარტებები და შემოკლებები

შიდა ნორმატიული დოკუმენტი - ბნსუ-ს საქმიანობის მომწესრიგებელი, შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი, რომელიც ადგენს საქმიანობის წესს, სააერთო პრინციპებსა და დახასიათებას და ეხება სხვადასხვა საქმიანობის სახეებს და მათ შედეგებს;

თანამდებობრივი ინსტრუქცია - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს, თანამდებობაზე დანიშნული მუშაკის კვალიფიკაციის მიმართ მოთხოვნებს, მოვალეობებს, ფლებებსა და პასუხისმგებლობას;

სტრუქტურული ერთეულის დებულება - ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს სტრუქტურული ერთეულის სტატუსს, საქმიანობის უბანს ან მიმართულებას, ქვედანაყოფის ამოცანებსა და ფუნქციებს, სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის დანიშვნის წესსა და მის თანამდებობრივ ინსტრუქციას;

აღრიცხული ეგზემპლარი - დოკუმენტი, რომელსაც გააჩნია სააღრიცხვო ნომერი აღრიცხული ეგზემპლარების სიის მიხედვით; საგანმანათლებლო პროგრამა - საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;

სტუდენტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

მაგისტრანტი - პირი, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად ჩაირიცხა და სწავლობს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე;

ბნსუ ან სასწავლო უნივერსიტეტი - შპს „ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი“;

უსდ/სდ - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/საგანმანათლებლო დაწესებულება;

ISO - სტანდარტიზაციის საერთაშორისო ორგანიზაცია;

ხს - ხარისხის სისტემა;

ECTS - კრედიტებისა ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემა;

ESG - European Standards and Guidelines;

ENQA - European Network for Quality Assurance;

სტს - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო.



მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - ბნსუ) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მარეგულირებელი დებულება (შემდგომში - დებულება) განსაზღვრავს ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის, ორგანიზების, განხორციელების წესს;
2. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება ბნსუ-ს შინაგანაწესით და შიდა-საუნივერსიტეტო სხვა აქტებით. საკითხები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ბნსუ-ს მარეგულირებელ დებულებებში/წესებში გადაწყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე;
3. ბნსუ-ს პერსონალი და ამ დებულების რეალიზებაში ჩართული პირები ვალდებული არიან გაეცნონ ამ ინფორმაციას და შეასრულონ წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები. ამ მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს მათ დებულებით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებისაგან და მათი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

მუხლი 2. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი და საერთაშორისო საქმიანობა

ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა მიმართულია განათლების და მეცნიერების ინტეგრირების, საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროცესის განვითარების, სამეცნიერო კვლევების კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფაზე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და განხორციელება რეალიზდება კვლევების ცენტრის ხელშეწყობით; ბნსუ-ს ავილირებული აკადემიური პერსონალი სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს, როგორც თავისი საქმიანობის სავალდებულო შემადგენელ ნაწილს, ასრულებს აკადემიური დატვირთვის გეგმის შესაბამისად.

მუხლი 3. სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი ამოცანები და პრიორიტეტული მიმართულებები

1. სამეცნიერო საქმიანობა არის ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის (შემდგომში - ბნსუ) ერთ-ერთი პრიორიტეტი. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს მიეკუთვნება: ბნსუ-სთვის პრიორიტეტული საგანმანათლებლო და სტრატეგიული მიმართულებები, სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგია, განათლების ხარისხი. ბნსუ-სთვის აქტუალურია ამ მიმართულებებში: სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა, სამეცნიერო ნაშრომების, ნაშრომთა კრებულების და მონოგრაფიების მომზადება, სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება საკუთარ/ადგილობრივ/საერთაშორისო სამეცნიერო გამოცემებში, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა, საგანმანათლებლო პროცესში ბნსუ-ში განხორციელებული სამეცნიერო კვლევების შედეგების გამოყენება, სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; სასწავლო, მეთოდური და სხვ. მუდმივი აქტუალური და საგანმანათლებლო პროცესის სრულყოფა მეცნიერების უახლესი ტენდენციების გათვალისწინებით;
2. ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის ძირითადი ამოცანებს მიეკუთვნება: ბნსუ-ს პოტენციალის ეფექტიანად გამოყენება და ბნსუ-ს ერთიან საგანმანათლებლო-სამეცნიერო კომპლექსად ჩამოყალიბება; განათლების, მეცნიერებისა და პრაქტიკის დაკავშირება; ბნსუ-ს პერსონალის სამეცნიერო პოტენციალის სრულყოფა და მათი კვალიფიკაციის ამაღლება; ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში კვლევების ხელშეწყობა, საერთაშორისო და ადგილობრივ საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევით და პრაქტიკულ პროექტებში მონაწილეობა და საერთაშორისო საგანმანათლებლო, სამეცნიერო, ტექნოლოგიურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა; ბნსუ-ში უწყვეტი განათლების სისტემის ფორმირების და განვითარების თეორიული და მეთოდოლოგიური საფუძვლების შემუშავება, მათ შორის: სტუდენტების კრეატიულობის და კვლევის უნარების განვითარება; საგანმანათლებლო პროცესში კვლევების ელემენტების ინტეგრირებით და სტუდენტთა დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობის წახალისებით და ხელშეწყობით სტუდენტთა მომზადების ხარისხის გაზრდა, სამეცნიერო და საგანმანათლებლო პროცესების ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა, საგანმანათლებლო პროცესში ბნსუ-ს სამეცნიერო საქმიანობის შედეგების გამოყენება და სხვ.;
3. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითადი ამოცანების რეალიზება გულისხმობს: ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვას, შეთანხმებას, მონიტორინგს და განხორციელების კონტროლს; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფას განვითარებული ინფრასტრუქტურის შექმნის გზით; ბნსუ-სთვის პრიორიტეტული მიმართულების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობის ხელშეწყობას, განვითარებას და ამ მიმართულებით ბნსუ-ს რესურსების კონცენტრირებას; ინტერდისციპლინური სამეცნიერო კვლევების სფეროების განსაზღვრას და ბნსუ-ს სამეცნიერო პოტენციალის გაერთიანებას ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში კოლექტიური ნაშრომების შესრულების მიზნით; სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი კომპეტენციების ფორმირებას; ბნსუ-ს პერსონალის და სტუდენტების სტიმულირებას მათი საქმიანობის დაფინანსებისა და სხვა ფორმით წახალისების გზით; ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების შემუშავებას, საქართველოს და საერთაშორისო გამოცდილების შესწავლას და მოწინავე გამოცდილების გაზიარებას; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლს, გადაწყვეტილებების ღიაობისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფას;
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება იყოს ფორმალური შემდეგი სახით: სამეცნიერო მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა, მოხსენებები/თეზისები სამეცნიერო კონფერენციებისთვის, სამეცნიერო კონფერენციებში/სიმპოზიუმებში მონაწილეობა, სამეცნიერო სტაჟირება, საინფორმაციო, სამეცნიერო-ტექნიკური, საკონსულტაციო და საექსპერტო მომსახურება და სხვა.

მუხლი 4. საერთაშორისო თანამშრომლობა

ბნსუ-ს ერთ-ერთი მიზანია დაამყაროს, განხორციელოს და განავითაროს თანამშრომლობა უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებით. საერთაშორისო თანამშრომლობის პერსპექტიული მიმართულებად ბნსუ მიიჩნევს:

- ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების და სხვ. ჩატარებას;
- განხორციელებული კვლევების შედეგების ამსახველი ერთობლივი პუბლიკაციების გამოქვეყნებას;
- კვლევებისა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების ერთობლივ განხორციელებას;
- სამეცნიერო კადრების ურთიერთგაცვლას, მომზადებას და სტაჟირებას;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის უცხოური ბაზრების კვლევების შედეგების გაზიარებას;
- სამეცნიერო-კვლევითი პროექტების რეალიზების მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვას;
- ინტელექტუალური საკუთრების ობიექტების გაყიდვას;
- საერთაშორისო ორგანიზაციებიდან (ფონდებიდან) სამეცნიერო საქმიანობისთვის დაწესებული დაფინანსების მიღებას.

მუხლი 5. ინტელექტუალური საკუთრების უფლება

1. ბნსუ უფლებამოსილია სამეცნიერო-კვლევით საქმიანობა განხორციელოს დამოუკიდებლად და/ან ერთობლივად პარტნიორ-დაწესებულებებთან (ერთობლივი კვლევითი პროგრამების ფარგლებში);



2. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ფარგლებში ბნსუ დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებებს და პარტნიორ-დაწესებულებებთან აფორმებს შეთანხმებებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით;

3. სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ანგარიშები, სამეცნიერო საქმიანობის და კვლევის შედეგად შექმნილი/მიღებული მეთოდები, პროგრამები, პროექტები, მასალები და სხვ., რომლებიც წარმოადგენენ ბნსუ-ს ინტელექტუალურ საკუთრებას, შეიძლება იყოს გადაცემული მის მიერ სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის სხვა მომხმარებლებისთვის წესით, რომელიც გათვალისწინებულია ბნსუ-სა და დანატერესებულ მხარეს შორის დადებული შეთანხმებით და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, რომელიც არეგულირებს საავტორო უფლებებისა და ინტელექტუალური საქმიანობის შედეგებზე უფლების საკითხებს.

მუხლი 6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სუბიექტები

- ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ:
 - ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალს (ბნსუ-ს აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც ჩართულია წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში);
 - სასწავლო გეგმაში ინტეგრირებული კვლევითი ნაშრომის მომზადებაში და/ან სასწავლო გეგმის მიღმა თავისუფალ დროს განხორციელებულ საქმიანობაში ჩართულ ბნსუ-ს სტუდენტებს (გარდა სტუდენტებისა, რომელთა მიმართ ბნსუ-ში გამოცემულია სტატუსის შეწყვეტის ბრძანება);
 - ბნსუ-ში დასაქმებულ სხვა პირებს (ძირითადი სამუშაოს შესრულებისგან თავისუფალ დროს);
 - პარტნიორი დაწესებულებების წარმომადგენლებს (პერსონალი და სტუდენტები) და სხვ.
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მონაწილე პირებს, დასმული ამოცანების გადაჭრის მიზნით, შეუძლიათ ბნსუ-ს ინფრასტრუქტურის და მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის გამოყენება.
- ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალის ინდივიდუალურ გეგმებში (ბნსუ-ში მოქმედი ფორმა „აკადემიური პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა“) აისახება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მოცულობა, სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობა, სტუდენტებისთვის სამეცნიერო ღონისძიებების ჩატარება და/ან ასეთი ღონისძიებებში მონაწილეობისათვის სტუდენტების მომზადება, სტუდენტთა კვლევითი ნაშრომების ხელმძღვანელობა, მომზადებული სამეცნიერო/საგანმანათლებლო/მეთოდური პროდუქცია და სხვ. სამეცნიერო საქმიანობის განხორციელება აისახება ინდივიდუალური გეგმის შესრულების ანგარიშში (ბნსუ-ში მოქმედი ფორმა „აკადემიური პერსონალის ანგარიში“), რომელიც განიხილება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ. ანგარიშში მითითებული შედეგები იქნება გათვალისწინებული ატესტაციის დროს.

მუხლი 7. აკადემიური ეთიკის კოდექსის და აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დაცვის ვალდებულება

- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში და/ან სამეცნიერო ნაშრომის შესწავლა-შეფასებაში ჩართული პირი ვალდებულია დაიცვას აკადემიური ეთიკის კოდექსი, მათ შორის - აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტი;
- ბნსუ-ში დაუშვებელია: პლაგიატი, ნაშრომში მითითებული ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბება, ფალსიფიცირება, მანიპულირება;
- ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის პასუხისმგებლობა აკისრიათ ნაშრომის ხელმძღვანელს (სტუდენტის ნაშრომის შემთხვევაში), რეგენზენტებს და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრებს;
- პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები უნდა იქნეს გამოვლენილი ნაშრომის გამოქვეყნების ან ნებისმიერი სხვა გზით ლეგალიზების შემთხვევაში;
- გამოცემამდე ან გამოცემის/სხვა ნებისმიერი გზით ლეგალიზების შემდგომ ნაშრომში პლაგიატის, ინფორმაციის/მონაცემების/სხვ. გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების დადასტურების შემთხვევაში პირი ვალდებული ბნსუ-ს სრულად დაუბრუნოს სამეცნიერო კვლევის, ნაშრომის მომზადების/თარგმნის/გამოსაცემად მომზადების/გამოცემის მიზნით ბნსუ-ს მიერ გაცემული (მათ შორის, პირის მიერ უკვე გამოყენებული) დაფინანსება. ასევე, პირი კარგავს განმეორებით იმავე ნაშრომის წარდგენის უფლებას;
- ბნსუ-ში მოქმედი აკადემიური ეთიკის კოდექსის, მათ შორის აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დადასტურებული დარღვევა იწვევს ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებულ სანქციას. დარღვევის ფაქტის შესწავლა ხდება ბნსუ-ს შინაგანაწესში მითითებული წესით; აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტის დადასტურებული დარღვევის შემთხვევაში ნაშრომის ავტორისა და დავისრებული მოვალეობების არასათანადოდ შესრულების გამო, ნაშრომის ხელმძღვანელის (სტუდენტის ნაშრომის შემთხვევაში), რეგენზენტების და ნაშრომის შემსწავლელი კომისიის წევრ(ებ)ის (ბნსუ-ს პერსონალის შემთხვევაში) მიმართ იწყება დისციპლინური წარმოება და მათ დაეკისრებათ შესაბამისი დისციპლინური სანქცია.
- ბნსუ-ში თანხედრის ზღვარი აკადემიურ-სამეცნიერო ნაშრომებში დივრსიფიცირებულია. კერძოდ:
 - საბაკალავრო ნაშრომი-არაუმეტეს 30%
 - სამაგისტრო ნაშრომი -არაუმეტეს 15%
 - ბნსუ-ში ჩატარებული სტუდენტური კონფერენციის ნაშრომი-არაუმეტეს 15 %
 - ბნსუ-ში ჩატარებული აკადემიური/აფილირებული პერსონალის და/ან მოწვეული სპეციალისტის/გარე მონაწილის - არაუმეტეს 10 %

მუხლი 8. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსურ-ეკონომიკური საფუძვლები, დაფინანსების წესი

- ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წყაროები შეიძლება იყოს:
 - საკუთარი სახსრები (ბნსუ-ს საწესდებო საქმიანობის შედეგად მიღებული საკუთარი სახსრები);
 - მოზიდული სახსრები (მათ შორის, ხელშეკრულებების საფუძველზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებით მიღებული შემოსავლები, გრანტები და საერთაშორისო სამეცნიერო ფონდებისაგან და ორგანიზაციებისაგან მიღებული სპეციალური დაფინანსება; სპონსორებისგან მიღებული დაფინანსება, ინვესტიციები, ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან მიღებული შემოწირულობა; სხვა კანონიერი წყაროები).
- ბნსუ დამოუკიდებლად განსაზღვრავს სამეცნიერო საქმიანობის ეკონომიკურ ნორმატივებს. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების წლიური ოდენობიდან გამომდინარე, ბნსუ გეგმავს კვლევით საქმიანობას, სამეცნიერო ღონისძიებებს და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ხარჯებს;
- სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს მიეკუთვნება: მატერიალური და ფინანსური ხარჯები, შრომის

ანაზღაურება, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარჯები (თუ კვლევის ნაწილი ტარდება სხვა დაწესებულების/ორგანიზაციის ბაზაზე, მისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით) და სხვა, რაც დაკავშირებულია/გამომდინარეობს კვლევის საჭიროებებიდან;

5. ბნსუ-ს შიდასაუნივერსიტეტო და პარტნიორ-დაწესებულებებთან ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის (პროექტის/ლონისძიებების/ნაშრომების/სხვ.) დაფინანსება ხდება, როგორც წესი, კონკურსის საფუძველზე (გამონაკლისი - პარტნიორ-დაწესებულებებთან დადებული მემორანდუმში/ ხელშეკრულება, რომელშიც გათვალისწინებულია კონკრეტული პროექტის/ლონისძიების/ნაშრომის შესრულება და მისი თანადაფინანსების ვალდებულება; ბნსუ-ს პარტნიორთა კრების გადაწყვეტილება კონკურსგარეშე ბნსუ-სთვის განსაკუთრებით აქტუალური პროექტის/ლონისძიების/ნაშრომის დაფინანსების შესახებ; სტუდენტთა ინდივიდუალური კოლექტიური ნაშრომი/პროექტი - აკადემიური საბჭოს დადებითი რეკომენდაციის შემთხვევაში);

6. ბნსუ-ს მიერ შეიძლება დაფინანსდეს ბნსუ-სთვის პრიორიტეტულ მიმართულებებში ნებისმიერი ფორმით ფორმალიზებული ინდივიდუალური და კოლექტიური სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

მუხლი 9. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფორმალიზება

1. ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება იყოს ფორმალიზებული როგორც:

- 1) ბნსუ-ს მიერ/ბნსუ-ს თანამონაწილეობით სხვადასხვა სახის და დონის სამეცნიერო ლონისძიებების ორგანიზება;
- 2) მონოგრაფიები, სამეცნიერო ნაშრომების კრებულები, სახელმძღვანელოები, მეთოდური მასალები და სხვ. (მომზადება და/ან გამოცემა);
- 3) სამეცნიერო ჟურნალის გამოცემა;
- 4) სამეცნიერო პუბლიკაციები (მომზადება და/ან გამოცემა);
- 5) კონფერენციები, სამეცნიერო სემინარები, სამეცნიერო ვებინარები, სამეცნიერო დისკუსიები და სხვ.;
- 6) ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალის და სტუდენტების სამეცნიერო ლონისძიებებში (სამეცნიერო კონფერენციებში, ვებინარებში, სემინარებში, სხვ.) მონაწილეობა (სამივილინგო და სხვა ხარჯები);
- 7) სამეცნიერო, სამეცნიერო-მეთოდური და სასწავლო-მეთოდური პროდუქციის გამოფენებში მონაწილეობა;
- 8) საუკეთესო სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომების შიდა კონკურსების ჩატარება;
- 9) გრანტების კონკურსებზე სტუდენტთა პროექტების წარდგენა;
- 10) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის უზრუნველყოფა, მათ შორის: სამეცნიერო წრეების, სემინარების, სამეცნიერო ოლიმპიადების და სხვ. ორგანიზება და ჩატარება;
- 11) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების მიზნით შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, სათანადო მდგომარეობაში შენარჩუნება და განვითარება.

მუხლი 10. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის და საგანმანათლებლო პროცესის ურთიერთკავშირი

1. ბნსუ მიიჩნევს, რომ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა არის სტუდენტების მომზადების პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. სასწავლო და სამეცნიერო პროცესების ერთობლიობას უზრუნველყოფს:

- სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში;
 - სასწავლო პროცესში სამეცნიერო საქმიანობის შედეგების გამოყენება;
 - სასწავლო პროცესში მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევების გამოყენება;
 - აქტიური სასწავლო საქმიანობის მრავალფეროვანი ფორმების გამოყენება (მაგ., სწავლის პროცესში სტუდენტების მიერ კვლევითი ნაშრომების ან/და კვლევის ელემენტების შემცველი ნაშრომების მომზადება, სასწავლო და/ან საწარმოო პრაქტიკები, სხვ.);
 - სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ერთიანი გარემოს ფორმირება, სტუდენტების მიერ თანამედროვე მეთოდებისა და საინფორმაციო საშუალებების დაუფლება.
2. ბნსუ, სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელების, სტიმულირების და მხარდაჭერის მიზნით:
- უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმართულებებისა და თემატიკის შესახებ;
 - ატარებს სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციებს, სტუდენტთა ნაშრომების კონკურსებს და/ან სხვ.;
 - ქმნის პირობებს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში სტუდენტების მონაწილეობისათვის და სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების (ნაშრომების, სტატეების, სხვ.) გამოქვეყნებისათვის;
 - აფინანსებს სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებულ ლონისძიებებს.

მუხლი 11. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება და დაგეგმვა. მიზნობრივი პროექტები. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება

1. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარების ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს ბნსუ-ს აკადემიური საბჭო, რომელიც, ამავდროულად, არის ბნსუ-ს სამეცნიერო საბჭო. ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კოორდინირებას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე - ბნსუ-ს რექტორი;

2. ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტურობის მაჩვენებლებია:

- 1) სამეცნიერო კვლევებში მონაწილეობა (კვლევების რაოდენობა, შედეგები, შიდა გა გარე დაფინანსების მოცულობები);
- 2) სამეცნიერო გამოცემების მომზადება (კონკურსში გამარჯვებულ (ბნსუ-ს დაფინანსებით გამოცემულ) ნაშრომთა რაოდენობა);
- 3) სამეცნიერო პროდუქციის, სასწავლო-მეთოდური მასალების მომზადება (რაოდენობა, გვერდების საერთო რაოდენობა);
- 4) საუკეთესო ნაშრომის კონკურსში მონაწილეობა (დაკავებული ადგილი);
- 5) კონფერენციების, სემინარების, სხვ. მოწყობა და ამ ლონისძიებებში მონაწილეობა (რაოდენობა ლონისძიების სტატუსის - ადგილობრივი/საერთაშორისო - მიხედვით);
- 6) კონფერენციებში, სემინარებში, სხვ. აკადემიური პერსონალის მონაწილეობა (მონაწილე პირთა რაოდენობა ლონისძიების სტატუსის - ადგილობრივი/საერთაშორისო - მიხედვით);
- 7) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზება (კვლევით საქმიანობაში ჩართული სტუდენტების რაოდენობა);
- 8) სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობა (კონკურსში გამარჯვებული ნაშრომების რაოდენობა, კონფერენციებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა).

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა



1. ბნსუ დამოუკიდებლად და/ან პარტნიორ დაწესებულებებთან ერთობლივად ახდენს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მიმდინარე და პერსპექტიულ დაგეგმვას, განსაზღვრავს დაფინანსების პირობებს, სამუშაოს სახეობებს და შემსრულებელთა ვინაობას;
2. ბნსუ-ში სამეცნიერო კვლევების დაგეგმვა ხდება ბნსუ-ს საგანმანათლებლო და სტრატეგიულ პრიორიტეტულ მიმართულებებში;
3. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვის საფუძვლებია შემდეგი პრინციპები:
 - 1) სამეცნიერო და სასწავლო-სააღმწერდელი პროცესების ერთობლიობა;
 - 2) კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებებზე ბნსუ-ს რესურსების კონცენტრირება, ოპტიმალური და რაციონალური გამოყენება, ერთობლივი პროექტების შემთხვევაში დარტნიორი დაწესებულებების რესურსების კონსოლიდირება;
 - 3) ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზების ფორმების მრავალფეროვნება;
 - 4) ბნსუ-ს ავტორიტეტული აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა, რამაც უნდა უზრუნველყოს განათლების და სამეცნიერო კვლევების მაღალი ხარისხი;
 - 5) სტუდენტთა სამეცნიერო და კვლევითი შესაძლებლობების მხარდაჭერა და განვითარება;
 - 6) საერთაშორისო საგანმანათლებლო და სამეცნიერო საზოგადოებაში ბნსუ-ს ინტეგრირება.
4. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა ხდება კალენდარული წლის ფარგლებში. წლიურ გეგმაში აისახება ყველა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები და ბნსუ-ს მიერ ორგანიზებული სამეცნიერო ღონისძიებები;
5. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველწლიური გეგმის შემუშავების მიზნით, წინა წლის შედეგების და ბნსუ-ს შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ბნსუ-ს ყველა სტრუქტურული ერთეულის ჩართულობით მზადდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმის და მისი დაფინანსების პროექტი, რომელსაც განსახილველად წარუდგენენ აკადემიურ საბჭოს. სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის გეგმის და ფინანსური გეგმის პროექტი 01 დეკემბრამდე უნდა გადაეცეს ბნსუ-ს ფინანსურ სამსახურს, რის შემდეგ გეგმით გათვალისწინებული აქტივობების დაფინანსების საკითხს შეისწავლის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი (საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დასაბუთებით, ფინანსური გეგმა უბრუნდება აკადემიურ საბჭოს განმეორებითი განხილვისათვის, სხვა შემთხვევაში გეგმა დამტკიცებულად ითვლება). სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები იქნება გათვალისწინებული ბნსუ-ს ბიუჯეტში;
6. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმა უნდა იყოს დაბალანსებული და ეყრდნობოდეს ბნსუ-ში არსებულ მატერიალურ, ფინანსურ და ადამიანურ რესურსებს;
7. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შემთხვევაში, ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმაში აისახება პროექტის მოსალოდნელი სამეცნიერო და პრაქტიკული შედეგები, შესრულების ვადები, სამუშაოების ღირებულება, პროექტის დაფინანსებული ორგანიზაციები. თითოეული პროექტის შემთხვევაში აკადემიური საბჭოს მიერ ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალიდან განისაზღვრება პროექტის ხელმძღვანელი, რომელსაც აქვს პროექტის შესაბამის მიმართულებაში კვლევის განხორციელების გამოცდილება. პროექტის ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სამუშაოს შესრულების ხარისხზე და ვადებზე, საბოლოო შედეგების მიღწევაზე და მიღებული დაფინანსების მიზნობრივ გამოყენებაზე.

3. მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტები

1. ბნსუ-ს მიერ მიზნობრივი საუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტი (შემდგომში - პროექტი) შეიძლება იყოს ბნსუ-ს შიდასაუნივერსიტეტო ან ერთობლივად განხორციელებული და/ან დაფინანსებული ბნსუ-ს და პარტნიორ დაწესებულების თანამონაწილობით. ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულება შეიძლება იყოს საქართველოს და/ან უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი, დარგობრივი ორგანიზაცია და/ან სხვ.;
 2. პროექტს ჰყავს სამეცნიერო ხელმძღვანელი (შესაბამის სფეროში დოქტორის აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი), რომელიც პასუხისმგებელია დადგენილ ვადებში პროექტის განხორციელებაზე, მიღებული დაფინანსების ხარჯვის მიზნობრიობაზე და პროექტის დასრულების შემდეგ დასკვნითი ანგარიშის შედგენაზე. პროექტის ხელმძღვანელი არის ბნსუ-ს პროფესორი/ასოციირებული პროფესორი. ერთობლივი პროექტის შემთხვევაში პროექტის თანახმად მდგვანელია ყველა პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენელი (დოქტორის აკადემიური/მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);
 3. პროექტის ძირითად პერსონალს მიეკუთვნება ბნსუ-ს (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში - ასევე, პარტნიორი დაწესებულებების) სამეცნიერო პერსონალი და სტუდენტები (აკადემიური მოსწრება - არანაკლებ B შეფასება ყველა შესწავლილ კომპონენტში; ბაკალავრიატის საფეხურის შემთხვევაში - არანაკლებ სწავლების V სემესტრი), რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კვლევაში. ბნსუ-ს შიდასაუნივერსიტეტო/ერთობლივ პროექტში სავალდებულოა ბნსუ-ს სტუდენტის ჩართულობა; ინტერდისციპლინური სამეცნიერო-კვლევითი პროექტებისათვის სავალდებულოა პროექტში მონაწილე თითოეული ფაკულტეტიდან მინიმუმ 01 (ერთი) სტუდენტის და დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირის ჩართულობა. დაუშვებელია ერთი და იგივე პირი ერთდროულად მონაწილეობდეს ბნსუ-ს რამდენიმე პროექტში - თუ რამდენიმე გამარჯვებული პროექტის საკონკურსო დოკუმენტებში დაფიქსირდება ამ პირის ჩართვის თანხმობა, მაშინ მან უნდა გამოიყენოს არჩევანის უფლება და განცხადებაში ბნსუ-ს რექტორის სახელზე დაასახელოს ის პროექტი, რომლის სასარგებლოდ მიიღო გადაწყვეტილება. პროექტის დასრულებამდე პროექტში მონაწილეობის შეწყვეტა ხდება შემდეგ შემთხვევებში:
 - 1) პროექტში მონაწილე პირის წერილობითი განცხადება;
 - 2) სამეცნიერო პერსონალის შემთხვევაში - შრომითი სელშეკრულების ვადის გასვლა (ვადიანი ხელშეკრულების შემთხვევაში) და ახალი შრომითი ხელშეკრულების არარსებობა, ვადამდე შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევები), აკადემიური ეთიკის დარღვევა (პლაგიატი, მონაცემთა/ინფორმაციის ფალსიფიცირება, სხვ.);
 - 3) სტუდენტის შემთხვევაში - განათლების მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა (ბნსუ-ს შინაგანაწესით გათვალისწინებული შემთხვევები), პროექტის განხორციელების პერიოდში საგანმანათლებლო პროგრამის ერთ-ერთ კომპონენტში B შეფასებაზე ნაკლები ქულის მიღება, აკადემიური ეთიკის დარღვევა (პლაგიატი, მონაცემთა/ინფორმაციის ფალსიფიცირება, სხვ.).
- ზემოთ მითითებულ შემთხვევებში პროექტის ხელმძღვანელი უფლებამოსილია წარუდგინოს ბნსუ-ს რექტორს/ადმინისტრაციის ხელმძღვანელს (მათი კომპეტენციის შესაბამისად) შესაბამისი პროექტის სხვა მონაწილის კანდიდატურა, რომელიც პასუხობს დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; თანხმობის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.

¹ უნივერსიტეტში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით შემუშავებულია დოკუმენტი: „**მიზნობრივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის საგრანტო კონკურსის დებულება**“, რომელიც დეტალურად არეგულირებს აღნიშნულ მიმართულებას.



4. პროექტის დამხმარე პერსონალს მიეკუთვნება ბნსუ-ს, ასევე, ერთობლივი პროექტის შემთხვევაში - პარტნიორი დაწესებულებების სხვა პერსონალი (სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები), რომელმაც უნდა უზრუნველყოს პროექტის შესრულების ხელშეწყობა. დასაბუთებული აუცილებლობის შემთხვევაში, პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის/ხელშეწყობის მიზნით შესაძლებელია ხელშეკრულების საფუძველზე სხვა სპეციალური კომპეტენციის მქონე პირთა მოწვევა.

4. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა

1. ბნსუ მიიჩნევს, რომ სტუდენტთა სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის (შემდგომში - სტუდენტთა საქმიანობა) ხელშეწყობით შესაძლებელია სტუდენტთა კვლევითი, შემოქმედებითი და შემეცნებითი პოტენციალის რეალიზების პირობების შექმნა და მომავალში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისთვის აუცილებელი სოციალურ-ფსიქოლოგიური კომპეტენციებისა და კვლევითი უნარების განვითარება. სტუდენტთა საქმიანობის ხელშეწყობის ძირითად ამოცანებს მიეკუთვნება: კვლევის მეთოდების დაუფლება, მასალის შემოქმედებითი აღქმა, ცოდნის მუდმივი სრულყოფის მოტივაცია, პიროვნების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა, მეცნიერებისა და ტექნიკის ინოვაციების გაზიარება, კვლევის შემოქმედებითი და ინოვაციური მიდგომების ფორმირება და აქტუალური თეორიული და/ან ტექნიკური/პრაქტიკული ამოცანების დამოუკიდებლად გადაწყვეტის უნარების ფორმირება. ბნსუ მიიჩნევს, რომ სტუდენტთა საქმიანობა წარმოადგენს საგანმანათლებლო პროცესის (განსაკუთრებით - მაგისტრატურის საფეხურზე) განუყოფელ ნაწილს, მოიცავს მეთოდების, საშუალებებისა და საორგანიზაციო-ეკონომიკური ღონისძიებების ერთობლიობას, რომელიც უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას;

2. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ელემენტებია: სამეცნიერო საქმიანობის საფუძვლების შესწავლა და კვლევითი უნარების ჩამოყალიბება, ხელმძღვანელის ზედამხედველობით სამეცნიერო კვლევის შესრულება/კვლევაში მონაწილეობა და ა.შ.;

3. სტუდენტთა საქმიანობას უკრიბებს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანი;

4. სტუდენტთა საქმიანობა ხორციელდება ბნსუ-ში ან/და ბნსუ-ს პარტნიორ-დაწესებულებებში/ორგანიზაციებში;

5. სტუდენტთა საქმიანობა შეიძლება განხორციელდეს ბნსუ-ს პრიორიტეტულ საგანმანათლებლო მიმართულებებში, ბნსუ-ს ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გათვალისწინებით. სტუდენტის საქმიანობა შეიძლება ატარებდეს თეორიულ ან პრაქტიკულ ხასიათს;

6. სტუდენტთა საქმიანობას უძღვება ხელმძღვანელი (ბნსუ-ს აფილირებული პროფესორი/ასოცირებული პროფესორი). ასევე, შესაძლებელია, თანახელმძღვანელის სტატუსით, სხვა კომპეტენტური პირის (ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორთა შემადგენლობიდან), ბნსუ-ს მოწვეული პერსონალი ან სხვ.) ჩართულობა. ხელმძღვანელი პასუხისმგებელია სტუდენტის საქმიანობის სრულფასოვან განხორციელებაზე, მის ვალდებულებებში შედის: კვლევის თემატიკის განსაზღვრა და კვლევის გეგმის შემუშავება, სტუდენტის კონსულტირება, მეთოდური ხელმძღვანელობა, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების მიზნით, შესაბამისი კომპეტენციის პირთა მოწვევა, კვლევის თანამედროვე მეთოდების ათვისების ხელშეწყობა, აუცილებელი მასალებით და აღჭურვილობით უზრუნველყოფის ხელშეწყობა, კონტროლი კვლევის მიმდინარეობაზე და ხარისხზე. ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტს აუხსნას წყაროებთან მუშაობის, სხვისი ციტატების/მონაცემების/გამოსახულებების/სხვ. გამოყენების და ნაშრომში ასახვის წესები, განუმარტოს აკადემიური კეთილსინდისიერების სტანდარტების არსი, შესრულების მნიშვნელობა და მათი დარღვევისთვის დაწესებული სანქციები. ნაშრომის ხელმძღვანელი ვალდებულია სტუდენტის ნაშრომზე მუშაობის დასრულებამდე პერიოდულად შეამოწმოს ნაშრომი პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების გამოვლენის მიზნით. სტუდენტების საქმიანობის ხელმძღვანელობა და თანახელმძღვანელობა მხედველობაში მიიღება აკადემიური პერსონალის ატესტაციის დროს;

7. მიზნებიდან და შინაარსიდან გამომდინარე, სტუდენტის საქმიანობა შეიძლება წარმოადგენდეს: სასწავლო პროცესში ინტეგრირებულ საქმიანობას (წარმოადგენს სასწავლო გეგმის სავალდებულო შემადგენელი ნაწილს); საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის მიღმა განხორციელებულ საქმიანობას (სტუდენტი იყენებს სწავლისაგან თავისუფალ დროს); სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში მონაწილეობას (კონფერენციები, კონკურსები, სხვ.);

8. სასწავლო პროცესში ინტეგრირებული საქმიანობა გულისხმობს: საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კვლევის მეთოდის, ორგანიზების და შესრულების თეორიული საფუძვლების შესწავლას, კვლევის დაგეგმვას და ორგანიზებას, მონაცემების დამუშავებას და სხვ., კვლევის ელემენტების შემცველი ნაშრომების/პროექტების შესრულებას, პრაქტიკის პერიოდში დამოუკიდებელი კვლევების შესრულებას და/ან სხვ.; სასწავლო გეგმის მიღმა (სწავლებისგან თავისუფალ დროს) შესრულებული საქმიანობა ატარებს სტუდენტის ინდივიდუალური ან სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი ჯგუფებში მუშაობის ფორმებს;

9. სტუდენტებს აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა ბნსუ-ში მიმდინარე/დაგეგმილ კვლევებში, გამოიყენონ ბნსუ-ს ლაბორატორიები, აღჭურვილობა, კომპიუტერული ტექნიკა, საბიბლიოთეკო ფონდები, საინფორმაციო-საცნობარო ელ.რესურსები და სხვ. სტუდენტების საქმიანობის რესურსებით უზრუნველყოფა, შესაბამისი პირობების შექმნა, სამეცნიერო-პრაქტიკული ღონისძიებების, კონფერენციების, სემინარების, სხვ. ორგანიზება ფინანსდება ბნსუ-ს ბიუჯეტიდან;

10. კვლევით საქმიანობაში აქტიურად ჩართულ სტუდენტებად მიიჩნევიან სტუდენტები, რომლებმაც მიაღწიეს საუკეთესო შედეგებს, რაც დასტურდება კონკურსში მათი ნაშრომების გამარჯვებით, სამეცნიერო, პრაქტიკულ, სასწავლო გამოცემებში მათი ნაშრომების/სტატიების/მოხსენებების გამოქვეყნებით, სამეცნიერო-პრაქტიკულ ღონისძიებებში (კონფერენციებში, სემინარებში, სხვ.) მონაწილეობით (მოხსენებით გამოსვლა) და სხვ.;

11. კვლევით საქმიანობაში აქტიურად მონაწილე სტუდენტების წახალისების ფორმებია: კონკურსის გარეშე გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა, სტაჟირება/კონფერენციაზე გაგზავნა, ფულადი/ფასიანი საჩუქარი, მატერიალური დახმარება, ფინანსური შედგავთები, საერთაშორისო/ადგილობრივ კონფერენციებზე გაგზავნა, სამეცნიერო ჟურნალში/კრებულში ნაშრომის/ სტატიების გამოქვეყნების ხელშეწყობა, შემდგომი კვლევითი საქმიანობის ინდივიდუალური დაფინანსება, სხვ.;

5. სტუდენტთა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფორმალიზება

1. სტუდენტის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ფორმალიზდება ინდივიდუალურად/კოლექტიურად შესრულებული ნაშრომის (თეორიული/პრაქტიკული პროექტის/ნაშრომის, კონფერენციისთვის მომზადებული მოხსენების ან სხვა) სახით:

1) თეორიული პროექტის/ნაშრომის (შემდგომში - ნაშრომი) უნდა აკმაყოფილებდეს ბნსუ-ში შემუშავებული გზამკვლევის: „აკადემიური ნაშრომის სტანდარტი“-ით დადგენილ მოთხოვნებს.

1. მიზნობრივი საუნივერსიტეტო კონკურსი

² გზამკვლევი- აკადემიური ნაშრომის სტანდარტი

1. ბნსუ-ში დასაფინანსებელი მიზნობრივი შიდასაუნივერსიტეტო სამეცნიერო-კვლევითი პროექტის (შემდგომში - პროექტი), სამეცნიერო-კვლევითი, მეთოდოლოგიური, საგანმანათლებლო მიმართულების ნაშრომების/სტატიების/ღონისძიებების (შემდგომში - ნაშრომი/ღონისძიება) დაფინანსების მოპოვება ხდება, როგორც წესი, კონკურსის საფუძველზე, რომლის გამოცხადებას და ჩატარებას არეგულირებს წინამდებარე წესი;
2. ბნსუ-ში კონკურსის გამოცხადების და ჩატარების საფუძველია ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების საფუძველზე გამოცემული ბნსუ-ს რექტორის ბრძანება. რომელშიც მითითება პრიორიტეტული მიმართულება, კონკურსის ჩატარების ვადები (მათ შორის, განცხადებების მიღების დაწყებისა და დასრულების, კონკურსის წინასწარი შედეგების გამოცხადების, წინასწარი შედეგების გასაჩივრებისა და საბოლოო შედეგების გამოცხადების თარიღები), წარსადგენი საბუთების ნუსხა, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა და კონკურსში გამარჯვებული პროექტების/ნაშრომების შესაძლო რაოდენობა, რომელსაც დააფინანსებს ბნსუ კონკურსის შედეგების საფუძველზე. პარტნიორ დაწესებულებასთან/დაწესებულებებთან ერთობლივად განსახორციელებელი და/ან დასაფინანსებელი პროექტის/ნაშრომის შემთხვევაში აუცილებელია ყველა პარტნიორი დაწესებულების შესაბამისი გადაწყვეტილება და ურთიერთშეთანხმება კონკურსის პირობებთან დაკავშირებით;
3. ინფორმაცია კონკურსის ჩატარების შესახებ (მათ შორის, პრიორიტეტული მიმართულება, საბუთების მიღების დაწყებისა და დასრულების, კონკურსის წინასწარი შედეგების გამოცხადების, წინასწარი შედეგების გასაჩივრებისა და საბოლოო შედეგების გამოცხადების თარიღები, წინამდებარე წესი, საკონტაქტო ინფორმაცია, პროექტების პრიორიტეტული მიმართულება, კონკურსის შედეგების საფუძველზე ბნსუ-ს დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობა და სხვ.) წინასწარ განთავსდება ბნსუ-ს საინფორმაციო დაფაზე ან/და ბნსუ-ს ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
4. კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტების მიღება-აღრიცხვას აწარმოებს ბნსუ-ს კანცელარია;
5. კონკურსის საინფორმაციო მხარდაჭერას უზრუნველყოფს აკადემიური საბჭოს მდივანი ან რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სხვა პირი;
6. კონკურსზე შეიძლება დასრულებული პროექტის/ნაშრომის/სხვ. წარდგენა;
6. კონკურსზე წარდგენილი პროექტები/ნაშრომი შეიძლება იყოს ინდივიდუალური და კოლექტიური;
7. კონკურსზე წარდგენილი პროექტის/ნაშრომის/სხვ. ავტორი და/ან თანაავტორი შეიძლება იყოს:
 - 1) ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი, მოწვეული პერსონალი, სხვა პერსონალი, რომელიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსზე წარდგენილი პროექტის შესრულებაში;
 - 2) ბნსუ-ს სტუდენტები (როგორც თანაავტორი), რომელიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსზე წარდგენილი პროექტის/ნაშრომის შესრულებაში;
 - 3) ბნსუ-ს პარტნიორი დაწესებულებების პერსონალი და სტუდენტები (როგორც თანაავტორები), რომელიც მონაწილეობას მიიღებენ კონკურსზე წარდგენილი პროექტის შესრულებაში.
8. კონკურსზე წარსადგენი დოკუმენტები:
 - 1) განცხადება (იხ. დანართი #1);
 - 2) პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების პასპორტი (იხ. დანართი #2).
 - 3) პროექტის/ნაშრომის/სხვ. შესრულებაში მონაწილეობა სია და მათი CV (სტუდენტის შემთხვევაში - ასევე, ცნობა სტუდენტის სტატუსის, სწავლების სემესტრის და აკადემიური მოსწრების შესახებ);
 - 4) უცხოელი ენაზე ნაშრომის/პროექტის/სხვ. ანოტაციის, რევენუების და სხვ. შემთხვევაში აუცილებელია სანოტარო წესით დამოწმებული ქართულენოვანი თარგმანის წარდგენა. საკონკურსო კომისია განიხილავს მხოლოდ ქართულ ენაზე წარმოდგენილ დოკუმენტებს (თარგმანის სისწორეზე პასუხისმგებელია დოკუმენტების წარმდგენი პირი);
9. ზემოთ მითითებული საბუთები შეიძლება იყოს წარდგენილი ბნსუ-ს კანცელარიაში დალუქულ კონვერტში ან ელექტრონულად (ბნსუ-ს ოფიციალურ ფოსტაზე დოკუმენტების გაგზავნით, საკონკურსო დოკუმენტების წარდგენისთვის დადგენილ ვადაში);
10. საკონკურსო დოკუმენტების მიღების ვადის ამოწურვისთანავე საკონკურსო დოკუმენტები გადაეცემა საკონკურსო კომისიას.
11. კონკურსის შედეგები: ა) თუ კონკურსის შედეგების გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში არ მოხდა კონკურსის შედეგების გასაჩივრება, მაშინ კონკურსის შედეგები მიიჩნევა საბოლოო შედეგად. კონკურსის შედეგების გასაჩივრების შემთხვევაში კონკურსის საბოლოო შედეგებს ასახავს საპრეტენზიო კომისიის შემადგენელი ოქმი (იხ. „კონკურსის წინასწარი შედეგების გასაჩივრება“); ბ) კონკურსის შედეგების საფუძველზე ბნსუ-ს აკადემიური საბჭო (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში - ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს და პარტნიორი დაწესებულების უფლებამოსილი ორგანო/პირი) შეუძლებელია რეკომენდაციას კონკრეტული პროექტის დაფინანსების შესახებ. ბნსუ-ს საბოლოო გადაწყვეტილება ფორმდება რექტორის ბრძანებით; გ) პროექტის/ნაშრომის/სხვ. დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში შეუძლებელია და მტკიცდება პროექტის/ნაშრომის/სხვ. ბიუჯეტი. პროექტის/ნაშრომის/სხვ. დაფინანსება მოხდება კალენდარული გეგმისა და ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

2. საკონკურსო კომისია

1. კომისიები იქმნება მიმართულების მიხედვით და განიხილავენ შესაბამისი მიმართულების საკონკურსო პროექტებს/ ნაშრომებს;
2. კომისიის შემადგენლობა (წევრთა, თავმჯდომარის და მდივნის ვინაობა) განისაზღვრება ბნსუ-ს რექტორის ბრძანებით, ხოლო ერთობლივი პროექტების შემთხვევაში - ყველა პარტნიორი დაწესებულების ურთიერთშეთანხმებით იქმნება ერთიანი კომისია. ბნსუ-ში კომისიის და სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს რექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი, რომელიც არ არის კომისიის წევრი, ასრულებს მხოლოდ საინფორმაციო-საორგანიზაციო ფუნქციას, არ მონაწილეობს განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში. კომისიის წევრები არიან საკონკურსო მიმართულებებში კომპეტენტური ბნსუ-ს აკადემიური საბჭოს წევრები და/ან ბნსუ-ს აკადემიური პერსონალი (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი), ბნსუ-ს მოწვეული პერსონალი ან კონკურსის ჩატარების მიზნით მოწვეული პირები (ორივე შემთხვევაში აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი). ერთობლივი კომისიის შემთხვევაში მისი წევრები არიან ყველა პარტნიორი დაწესებულების წარმომადგენლები/მის მიერ დასახელებული პირები, რომლებიც აკმაყოფილებენ ზემოთ მითითებულ მოთხოვნებს. კომისიის წევრი ვერ იქნება პირი, რომელიც თავად მონაწილეობს კონკურსში - არის ნაშრომის/პროექტის/სხვ. ავტორი/თანაავტორი/მონაწილე/ნაშრომის რედაქტორი/რევენუენტი ან არის/შეიძლება იყოს დანიტერესებული პირი (საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევები);
3. კომისიის მუშაობის წესი:
 - 1) კომისია არის დროებითი, მისი უფლებამოსილება წყდება კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე;
 - 2) კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესის საფუძველზე და ვალდებულია დაიცვას ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპები და ბნსუ-ში მოქმედი აკადემიური ეთიკის სტანდარტები;



- 3) კომისიის წევრებს გასაცნობად გადაეცემათ ყველა ნაშრომი და თანდართული დოკუმენტები (ამონაბეჭდი სახით);
 - 4) კომისიის ყველა წევრი ვალდებულია შეისწავლოს ნაშრომები, დასკვნები და რეცენზიები;
 - 5) კომისიის წევრი/თავმჯდომარე ვალდებულია მასალების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში, და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობს კომისიის წევრი, რომელიც იყო ნაშრომის/მოხსენების ხელმძღვანელი ან რეცენზენტი;
 - 6) კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში (კონსულტაციის მიზნით) სხდომაზე მოიწვიოს ექსპერტის სტატუსით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების, დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები და სხვ., რომლებიც არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში;
 - 7) კომისია უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში სხდომაზე მოიწვიოს პროექტის/ ნაშრომის წარმდგენი პირი;
 - 8) კომისიის სხდომა არის დახურული. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ განხილვას ესწრება კომისიის წევრთა 2/3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განხილვაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია;
 - 9) კომისიის თავმჯდომარის/კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს/მდივანს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;
 - 10) კომისია პირველ რიგში განიხილავს ბნსუ-ს ავღიარებული აკადემიური პერსონალის პროექტებს/ნაშრომებს. მათ შორის გამარჯვებული ნაშრომ(ებ)ის გამოვლენის შეუძლებლობის ან დასაფინანსებელი პროექტების/ნაშრომების რაოდენობაზე (კვოტაზე) ნაკლები შემთხვევის შემთხვევაში, კომისიის მიერ განიხილება სხვა პირთა მიერ წარდგენილი ნაშრომები;
 - 11) კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, მდივნის და წევრების ვინაობა; სხდომაზე მოწვეულ/დამსწრე პირთა ვინაობა (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
 - 12) სავალდებულოა კომისიის მუშაობისას გამოვლენილი პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტების ასახვა კომისიის სხდომის ოქმში;
 - 13) კომისია ვალდებულია მიიღოს ობიექტური, დასაბუთებული გადაწყვეტილება - დაასახლოს გამარჯვებული ნაშრომები/პროექტები (რიტინგის მიზნით). საუკეთესოდ მიიჩნევა ნაშრომი/პროექტი, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი;
4. გამარჯვებული ნაშრომების/პროექტების/სხვ. გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში (მაგ., არ იყო წარდგენილი არც ერთი ნაშრომი/პროექტი/სხვ., ნაშრომების/პროექტების/სხვ. სფეროები არ შეესაბამება ბნსუ-ს პრიორიტეტებს (ერთობლივი პროექტის შემთხვევაში - ერთ-ერთი პარტნიორი დაწესებულების პრიორიტეტებს), სხვ.) კონკურსი ცხადდება არშემდგარად;
 5. კომისიის მუშაობის ამსახველი მასალები გადაეცემა ბნსუ-ს აკადემიურ საბჭოს და პარტნიორი დაწესებულებას (ერთობლივი კომისიის შემთხვევაში).

3. სტუდენტთა ნაშრომების საკონკურსო კომისია

1. სტუდენტთა ნაშრომების/მოხსენებების/პროექტების შეისწავლის საკონკურსო კომისია (შემდგომში - კომისია);
2. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს დადგენილებით. კომისიის წევრები არიან: ფაკულტეტის დეკანი და კონკურსის ჩატარების მიზნით მოწვეული პირები (აუცილებელი პირობაა დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხი). კომისიის წევრი ვერ იქნება პირი, რომელიც არის ნაშრომის/პროექტის ხელმძღვანელი/თანაავტორი/რედაქტორი/რეცენზენტი ან არის/შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი (საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევაში);
3. კომისიის და სხდომების თავმჯდომარეა კომისიის წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით არჩეული კომისიის წევრი. კომისიის და სხდომის მდივნის ფუნქციას ასრულებს ფაკულტეტის მდივანი, რომელიც არ არის კომისიის წევრი, ასრულებს მხოლოდ საინფორმაციო-საორგანიზაციო ფუნქციას, არ მონაწილეობს განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში;

4. კომისიის მუშაობის წესი:

- 1) კომისია არის დროებითი, მისი უფლებამოსილება წყდება კონკურსის შედეგების გამოცხადებისთანავე;
- 2) კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს წინამდებარე წესის საფუძველზე;
- 3) კომისია ვალდებულია დაიცვას ობიექტურობის და სამართლიანობის პრინციპები და ბნსუ-ში მოქმედი აკადემიური ეთიკის სტანდარტები;
- 4) კომისიის წევრებს გასაცნობად გადაეცემათ ყველა ნაშრომი და თანდართული დოკუმენტები (ამონაბეჭდი სახით);
- 5) კომისიის ყველა წევრი ვალდებულია შეისწავლოს ნაშრომები, დასკვნები და რეცენზიები;
- 6) კომისიის წევრი/თავმჯდომარე ვალდებულია მასალების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში, ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კონკრეტული საკითხის განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში არ მონაწილეობს კომისიის წევრი, რომელიც იყო ნაშრომის/მოხსენების ხელმძღვანელი ან რეცენზენტი;
- 7) კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში (კონსულტაციის მიზნით) სხდომაზე მოიწვიოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების და დარგობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ექსპერტები და სხვ., რომლებიც არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში;
- 8) კომისიის სხდომა არის დახურული. კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ განხილვას ესწრება კომისიის წევრთა 2/3. კომისია გადაწყვეტილებას იღებს განხილვაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია;
- 9) კომისიის თავმჯდომარის/კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში, სხდომის თავმჯდომარეს/მდივანს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;
- 10) კომისიის მუშაობა და გადაწყვეტილებები აისახება სხდომის ოქმში, რომელშიც მიეთითება: კომისიის დასახელება; სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომის თავმჯდომარის, სხდომის მდივნის, წევრების ვინაობა; სხდომაზე მოწვეულ/დამსწრე პირთა სია (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები; მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და მდივანი;
- 11) სავალდებულოა პლაგიატის, ინფორმაციის გაყალბების, ფალსიფიცირების ან მანიპულირების ფაქტები აისახოს კომისიის სხდომის ოქმში;



- 12) კომისია ვალდებულია მიიღოს ობიექტური, დასაბუთებული გადაწყვეტილება - დაასახლოს გამარჯვებული ნაშრომები და მოხსენებები (რიგითობის მითითებით). საუკეთესოდ მიიჩნევა ნაშრომი, რომელმაც დაიკავა პირველი ადგილი;
- 5. გამარჯვებული ნაშრომების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში კონკურსი ცხადდება არშემდგარად;
- 6. კომისიის მუშაობის ამსახველი მასალები გადაეცემა ფაკულტეტის დეკანს.

4. კონკურსების შედეგების გასაჩივრება

1. კონკურსის შედეგის გასაჩივრება (საპრეტენზიო განცხადებების წარდგენა) შესაძლებელია გასაჩივრებისთვის დადგენილ ვადაში/თარიღ(ებ)ში (მითითებულ სამუშაო დღეებში და საათებში) და წესით (საპრეტენზიო განცხადების ბნსუ-ში ამონაბეჭდი ფორმით წარდგენა და/ან ელ.ფოსტის გამოყენებით ბნსუ-ს ელ.ფოსტაზე გაგზავნა). პრეტენზია უნდა იყოს არგუმენტირებული, მკაფიოდ ჩამოყალიბებული და წერილობითი ფორმით წარმოდგენილი. დაინტერესებულ პირს შეუძლია მოითხოვოს საკითხის განხილვაზე დასწრება, აღნიშნულის შესახებ მან უნდა მიუთითოს საპრეტენზიო განცხადებაში, რომლითაც ასაჩივრებს კონკურსის წინასწარ შედეგებს. ელ.ფოსტის მეშვეობით საპრეტენზიო განცხადების გაგზავნის შემთხვევაში: ა) წერილობით ველში უნდა მიეთითოს „კონკურსის შედეგების გასაჩივრება“ (განცხადება უნდა დაერთოს გზავნილის ბმულების სახით, ფორმატი *.pdf); ბ) სამუშაო დღეებში და საათებში განცხადების გაგზავნის შემთხვევაში, დაინტერესებული პირი, იმავე დღეს ელ.ფოსტით მიიღებს შეტყობინებას განცხადების მიღების და სარეგისტრაციო ნომრის შესახებ, თუ განცხადების გაგზავნა მოხდება არასამუშაო დღეს ან სამუშაო საათების დასრულების შემდეგ, მაშინ ამ შეტყობინებას პირი მიიღებს მომდევნო სამუშაო დღეს. შეტყობინების არარსებობის შემთხვევაში, პირი ვალდებულია არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა, სამუშაო საათებში ბნსუ-ში მისვლით ან ბნსუ-ს საკონტაქტო ტელეფონის ნომერზე დარეკვით დააზუსტოს განცხადების მიღების ფაქტი და სარეგისტრაციო ნომერი. საპრეტენზიო განცხადებების მიღების ბოლო დღეს ელ.ფოსტის მეშვეობით განცხადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო საათების დასრულებამდე. საპრეტენზიო განცხადებების მიღების პირველ დღეს და იხურება განცხადებების მიღების ბოლო დღეს სამუშაო საათების დასრულებისთანავე. ელ.ფოსტის მეშვეობით განცხადების მიღების ფაქტი და თარიღი დასტურდება გზავნილის თარიღითა და ბმულებით. სარეგისტრაციო ჟურნალი და საპრეტენზიო განცხადებები გადაეცემა საპრეტენზიო კომისიის მუშაობის დაწყებისთანავე;

2. საპრეტენზიო განცხადებებს განხილავს საპრეტენზიო კომისია (შემდგომში – კომისია), რომელიც არის დროებითი, იქმნება კონკურსის შედეგების გასაჩივრების ვადის ამოწურვამდე რექტორის ბრძანებით, სადაც განისაზღვრება კომისიის მოქმედების ვადა/თარიღ(ებ)ი, კომისიის შემადგენლობა (თავმჯდომარის და წევრთა ვინაობა), კომისიის მდივნის ვინაობა და სხვ. კომისიის წევრი შეიძლება იყოს: ბნსუ-ს აკადემიური (პროფესორთა შემადგენლობიდან) და მოწვეული პერსონალი და/ან კომისიაში მუშაობის მიზნით სპეციალურად მოწვეული შესაბამისი კომპეტენციის მქონე პირი(ები), კომისიის მინიმუმ 1 წევრი უნდა იყოს ნაშრომის/პროექტის სფეროში შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირი. კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას და თავმჯდომარეობს სხდომებს. კომისიის მდივანი (ამადროულად – სხდომების მდივანი) არის ბნსუ-ს რომელიმე სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელი, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის გამართულ მუშაობას, ასრულებს საკოორდინაციო-საორგანიზაციო ფუნქციებს და სხვადასხვა ტექნიკურ და საინფორმაციო სამუშაოს, არ არის კომისიის წევრი, არ მონაწილეობს საბუთების განხილვაში და გადაწყვეტილების მიღებაში. კომისიის შემადგენლობის ფორმირებისას გასათვალისწინებელია, რომ კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება იყოს პირი, რომელიც არის საკონკურსო კომისიის წევრი ან თავად მონაწილეობს კონკურსში. კომისიის წევრი/თავმჯდომარე ვალდებულია საპრეტენზიო განცხადებების განხილვის დაწყებამდე განაცხადოს ყველა იმ გარემოების თაობაზე, რომელმაც შეიძლება მას ხელი შეუშალოს საკითხის ობიექტურად განხილვაში და გადაწყვეტილების მიუკერძოებლად გამოტანაში და ასეთი გარემოების არსებობისას განაცხადოს თვითაცილების შესახებ. კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების და წინამდებარე წესის საფუძველზე;

3. კომისიის მუშაობის წესი:

- 1) კომისიის თავმჯდომარის/კომისიის მდივნის არყოფნის შემთხვევაში სხდომის თავმჯდომარეს/მდივანს ირჩევს კომისია თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით სხდომაზე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით;
 - 2) კომისია განიხილავს ყველა საპრეტენზიო განცხადებას ინდივიდუალურად, საკონკურსო საბუთების და განცხადებაში მითითებული არგუმენტაციის შესწავლით. კომისიამ შეიძლება მოითხოვოს სხდომაზე საკონკურსო კომისიის წევრების და დაინტერესებულ პირის დასწრება, საკონკურსო კომისიის წევრებს და დაინტერესებულ პირს აქვთ საკითხის განხილვაზე დასწრებისა და არგუმენტების წარდგენის უფლება. საპრეტენზიო განცხადებაში მოცემული არგუმენტაციის სრულფასოვანი განხილვის, კონსულტაციის, ამა თუ იმ სპეციფიკური საკითხის შესწავლის და გადაწყვეტილების მიღების მიზნით კომისიამ, შესაძლოა, მიიღოს გადაწყვეტილება სხდომაზე ბნსუ-ს იურიდიული და/ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურ(ებ)ის უფროს(ებ)ის, სპეციალური კომპეტენციის მქონე პირების (ექსპერტების/სხვ.) მოწვევის შესახებ (არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღებაში);
 - 3) კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე წევრთა არანაკლებ 2/3. გადაწყვეტილება მიიღება კომისიის სხდომაზე კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების მქონე დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით ღია კენჭისყრით, კენჭისყრის შედეგების შესაბამისად. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადაწყვეტია კომისიის თავმჯდომარის პოზიცია. გადაწყვეტილების მიღების ეტაპზე კომისიის სხდომა არის დახურული. კომისიის მუშაობის შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმებში. ოქმი მიეთითება: სხდომის თარიღი და ადგილი; სხდომაზე დამსწრე პირთა ვინაობა - კომისიის თავმჯდომარე, წევრები, სხდომის მდივანი და სხდომაზე მოწვეული/დამსწრე პირები (არსებობის შემთხვევაში); დღის წესრიგი; მოხსენებლების ვინაობა; გამოთქმული მოსაზრებები/კენჭისყრის შედეგები და მიღებული გადაწყვეტილება. ოქმს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, წევრები და მდივანი;
 - 4) კომისიის მუშაობის ბოლო ეტაპზე (ყველა საპრეტენზიო განცხადების განხილვის შემდეგ) დგება შემაჯამებელი ოქმი, სადაც ასახულია კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები – კონკურსის წინასწარ შედეგებში შესული ცვლილებები (ასეთის არსებობის შემთხვევაში), კონკურსის საბოლოო შედეგები (მიეთითება იმ პირთა ვინაობა, რომლებსაც უარი ეთქვათ საპრეტენზიო განაცხადის დაკმაყოფილებაზე, და იმ პირთა ვინაობა, რომელთა საპრეტენზიო განაცხადები დაკმაყოფილდა);
4. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არის საბოლოო. პირს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, შეუძლია გადაწყვეტილების გასაჩივრება სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 13. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობა

1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეფექტიანობის მაჩვენებელი აჯამებს მონაცემებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვის შესახებ. ბნსუ-ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვა შეიძლება განხორციელდეს: მაგ. გამო-

საცემად/გამოსაქვეყნებლად სხვადასხვა ტექსტური მასალების მომზადებით, საჯარო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენციები, სემინარები, სხვ.) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების წარდგინით, საგანმანათლებლო პროცესში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოყენების მეშვეობით, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით ქმედითი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებით და ამოქმედებით, და/ან სხვ.;

2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების ინდიკატორები, მაგ.: დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირთა რაოდენობა, ავლირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობა და მათი თანაფარდობა; მონაცემები სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების დანერგვის შესახებ; გამოცემული/გამოსაცემად/გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო ნაშრომების/პუბლიკაციების რაოდენობა; განხორციელებული მიზნობრივი (შიდასაუნივერსიტეტო და ერთობლივი) პროექტების რაოდენობა; საჯარო სამეცნიერო ღონისძიებებზე (კონფერენციები, სემინარები, სხვ.) სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების წარდგინის რაოდენობა; საერთაშორისო სამეცნიერო/დარგობრივ კონფერენციებში მონაწილე ბნსუ-ს აკადემიური, მოწვეული პერსონალის და სტუდენტების რაოდენობა; სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობაში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა; ბნსუ-ს მიერ და/ან ბნსუ-ს თანამომონაწილეობით გამართული საერთაშორისო კონფერენციების, სემინარების რაოდენობა; საგანმანათლებლო პროცესში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგების გამოყენება, მათ შორის სასწავლო-მეთოდური მასალების აქტუალიზაციის, სასწავლო კურსების მომზადების, თანამედროვე სახელმძღვანელოების გამოცემისა და გამოყენების მეშვეობით; პატენტების, გამოგონებების რეგისტრირების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის სრულყოფის მიზნით ახალი ქმედითი მმართველობითი გადაწყვეტილებების შემუშავებით და ამოქმედებით, და/ან სხვა.

მუხლი 14. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის კონტროლი და აღრიცხვა

1. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გეგმის შესრულების კონტროლს ახორციელებს კვლევების ცენტრი;
2. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის აღრიცხვის მიზნით შენახვას ექვემდებარება:
 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველი გეგმა (ე.წ. „სამოქმედო გეგმა“) და მათი შესრულების ანგარიშები;
 - ბნსუ-ში ჩატარებული კონფერენციების მასალები (მოხსენებები, სხვ.);
 - სამეცნიერო პუბლიკაციები (მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, სხვ.);
 - სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, სხვ. პროგრამები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალმა და სტუდენტებმა;
 - სხვ., რაც განხორციელდა ბნსუ-ში, ბნსუ-ს თანამომონაწილეობით და/ან ბნსუ-ს პერსონალის მიერ.
3. ბნსუ-ს ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტის/ნაშრომის/სხვ. შესრულებაზე პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებულია პროექტის/ნაშრომის/სხვ. ხელმძღვანელი/ავტორი, რომელიც ვალდებულია შეადგინოს კვარტალური და შემაჯამებელი ანგარიში. საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში პროექტის შესრულების პერიოდულ (კვარტალურ) შემოწმებას ახორციელებენ კვლევების ცენტრი, საფინანსო სამსახურის უფროსი და ბნსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი კანცლერი;
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემაჯამებელი შედეგებს კვლევების ცენტრის წარდგინებით განიხილავს აკადემიური საბჭო;
5. სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს შედეგების ასახავს ფორმებს წარმოადგენს: სამეცნიერო ანგარიშები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, სტატიები ადგილობრივ/საერთაშორისო გამოცემებში, მოხსენებები, სხვადასხვა პუბლიკაციები, პატენტები და სხვ.;
7. შესრულებული სამუშაოების ფინანსური მოცულობები უნდა დასტურდებოდეს შესაბამისი დოკუმენტებით;
8. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველი ანგარიში ეყრდნობა ბნსუ-ს ფაქულტეტების ანგარიშებს;
9. ბნსუ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ყოველი სამუშაო შემაჯამებელი ანგარიში მტკიცდება აკადემიური საბჭოს მიერ.

მუხლი 15. სამეცნიერო პერსონალის უფლებები და ვალდებულებები

1. ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალად მიიჩნევა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართული ბნსუ-ს ავლირებული აკადემიური პერსონალი;
2. ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალი ვალდებულია: შეასრულოს წინამდებარე დებულების მოთხოვნები და ბნსუ-ს შინაგანაწესით და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით (დატვირთვის წესი) დადგენილი საქმიანობა და დატვირთვა;
3. ბნსუ-ს სამეცნიერო პერსონალს აქვს უფლება:
 - დამოუკიდებლად განსაზღვროს სამეცნიერო კვლევის შინაარსი, კვლევის მეთოდები და საშუალებები, აირჩიოს სამეცნიერო კვლევის მეთოდები და საშუალებები, რომელთაზე მეტად შეესაბამება მის ინდივიდუალურ თავისებურებებს და უზრუნველყოფენ სამეცნიერო კვლევების მაღალ ხარისხს;
 - ჩარევის გარეშე განახორციელოს სამეცნიერო კვლევა, შეუზღუდავად გამოაქვეყნოს კვლევის შედეგები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეზღუდვა შრომითი ხელშეკრულებით არის გათვალისწინებული ან ისინი შეიცავენ სახელმწიფო საიდუმლოებას;
 - იყოს აღიარებული სამეცნიერო და/ან სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების ავტორად და ბნსუ-ში დადგენილი წესით ბნსუ-ს სახელით წარადგინოს განაცხადი გამოგონებებზე და ინტელექტუალური საქმიანობის სხვა შედეგებზე;
 - სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განხორციელებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებელ კონკურსებში, ისარგებლოს ინდივიდუალური გრანტის/გრანტების დაფინანსებით და მიიღოს დამატებითი დაფინანსება;
 - მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულებაში;
 - მიიღოს თავისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ობიექტური შეფასება;
 - მეცნიერებისა და ტექნიკის სფეროში ბნსუ-ს შინაგანაწესის შესაბამისად განახორციელოს სამეცნიერო საქმიანობა, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს კანონმდებლობით;
 - წარადგინოს განაცხადები სამეცნიერო დისკუსიებში, კონფერენციებში და სხვ. მონაწილეობის მიზნით;
 - წარადგინოს განაცხადი კონკურსზე ბნსუ-ს ბიუჯეტიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მიზნით;
 - წარადგინოს განაცხადი საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული წყაროებიდან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მიზნით;
 - წარადგინოს განაცხადი საეთაშორისო სამეცნიერო და სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობაში მონაწილეობის მიზნით (საზღვარგარეთ სტაჟირება, მივლინებები, სმეცნიერო და/ან სამეცნიერო-ტექნიკური შედეგების გამოქვეყნება);
 - ჰქონდეს სწავლო სამეცნიერო და/ან სამეცნიერო-ტექნიკურ ინფორმაციასთან, თუ ეს ინფორმაცია არ წარმოადგენს სამსახურებრივ ან კომერციულ საიდუმლოს;
 - გამოაქვეყნოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები, თუ ისინი არ მოიცავენ სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოს შემცველ ინფორმაციას;

მოითხოვოს სამეცნიერო კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა ან დამოუკიდებლად განახორციელოს შესაბამისი აქტივობები.

მუხლი 16. დებულების დანართები

1. წინამდებარე დებულების განუყოფელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს მისი დანართები, ასევე დოკუმენტები/ფორმები, რომლებიც შემუშავდა წინამდებარე დებულების საფუძველზე.

მუხლი 17. დებულების საჯაროობა/კონფიდენციალურობა

1. წინამდებარე დებულება საჯაროა;
2. ბნსუ-ს პერსონალი და დებულებით გათვალისწინებული პროცესების/პროცედურების განხორციელებაში ჩართული და სხვა პირები, რომლებიც მონაწილეობენ ამ პროცესების უზრუნველყოფაში, ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე დებულებას და შეასრულონ მისი მოთხოვნები, ბნსუ ვალდებულია ნებისმიერ დროს მისცეს მათ დებულების გაცნობის შესაძლებლობა.

მუხლი 18. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე დებულების ძალაში შესვლისთანავე უქმდება წინამდებარე დებულების ძალაში შესვლამდე მოქმედი დებულებები/წესები, რომლებიც არეგულირებდნენ წინამდებარე დებულებით გათვალისწინებულ საკითხებს;
2. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის ინიციატორი შეიძლება იყოს რექტორი, აკადემიური საბჭო, კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი, ბნსუ-ს იურისტი;
3. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარდგინებით;
4. დებულების მუხლებს წინამდებარე უკმაყოფილო აქვს სათაურები ტექსტით სარგებლობის გასაადვილებლად, ეს სათაურები არ მიიჩნევა რომელიმე მუხლის განმსაზღვრელად, შემცვლელად ან განმმარტებლად;
5. დებულების რომელიმე მუხლის/დებულების ძალადაკარგულად/ბათილად ცნობა არ ვრცელდება დებულების სხვა მუხლებზე/დებულებებზე;
6. ყველა საკითხი, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე დებულებით, რეგულირდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;
7. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.



მფ-2-№01-06-10.01.2023

დანართი #01

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს

მოქალაქე _____
(სახელი, გვარი)

საკონტაქტო ტელ. _____

e-mail _____

განცხადება

ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსების მოპოვების მიზნით წარმოგიდგენთ:

პროექტის / ნაშრომის დასახელება

განცხადებას ერთვის დანართის სახით:

№	დოკუმენტის დასახელება	წარდგენილი საბუთის	
		ნაბეჭდი გვერდების რაოდენობა	ელ. ვერსია (CD/DVD დისკების რაოდენობა)
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			

ხელმოწერა: _____

თარიღი

საბუთები მიიღო _____
საკონკურსო კომისიის მდივნის სახელი, გვარი

ხელმოწერა

თარიღი



პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების პასპორტი (აღწერილობა)

«დასახელება»

<წელი>

**პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების
ხელმძღვანელი/ ავტორი:**

სახელი, გვარი

1. პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის დახასიათება

განხორციელების პერიოდი / თარიღი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების რიცხვი, თვე, წელი)
მიმოხილვა	ზოგადად აღწერეთ პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შინაარსი (ანოტაცია)
აქტუალობა	მოკლედ და მკაფიოდ აღწერეთ აქტუალობა
მიზნები და ამოცანები	აღწერეთ რა ამოცანების გადაწყვეტაზე და/ან რა მიზნების მიღწევაზე არის მიმართული პროექტი/ღონისძიება
მისაღწევი/დაგეგმილი შედეგები	მიუთითეთ შედეგები, მათ შორის რაოდენობრივი მაჩვენებლები (არსებობის შემთხვევაში), რომლებიც იქნება მიღწეული/მიღებული პროექტის/ღონისძიების რეალიზების შედეგებიდან გამომდინარე
„სამოქმედო გეგმის“ ღონისძიება/პროექტი/სხვ., რომლის მიზნებისთვის/რომლის ფარგლებში შესრულდება მოცემული პროექტი/ ღონისძიება	მიუთითეთ კონკრეტული პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ., რომლის მიზნებისთვის ან რომლის ფარგლებში რეალიზდება წინამდებარე პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ.
დაკავშირებული პროექტები/ღონისძიებები	მიუთითეთ რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. რეალიზების შემდეგ შესაძლებელია მოცემული პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. დაწყება; მიუთითეთ, რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. დაწყებამდე უნდა დასრულდეს მოცემული პროექტი/ნაშრომი/ღონისძიება/სხვ.; მიუთითეთ რომელი პროექტ(ებ)ის/ნაშრომის/ღონისძიებ(ებ)ის/სხვ. მიზნების მიღწევას ხელს შეუწყობს მოცემული პროექტი/ღონისძიება.
გავლენა „სამოქმედო გეგმის“ რეალიზებაზე	აღწერეთ მოცემული პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის გავლენა „სამოქმედო გეგმის“ რეალიზების მაჩვენებლებზე და შესრულებაზე.
დამატებითი ინფორმაცია	მიუთითეთ არსებობის შემთხვევაში.

2. პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის ხელმძღვანელობა, შესრულებაზე პასუხისმგებლობა

პროექტის/ნაშრომის/ ღონისძიების/სხვ. ხელმძღვანელი / ნაშრომის ავტორი	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი
შესრულებაზე სხვა პასუხისმგებელი პირები	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი
ანგარიშის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირი	სახელი, გვარი	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელეფონი



ანგარიშის წარდგენის ვადა	მიუთითეთ კონკრეტული თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (რიცხვი, თვე, წელი - რიცხვი, თვე, წელი)
--------------------------	---

3. პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. შესრულებისათვის აუცილებელი ადმინისტრაციული რესურსი

სტრუქტურული ერთეულ(ებ)ი	შესასრულებელი მოვალეობები (ფუნქციები)	საქმიანობის ვადა
მიუთითეთ, ბნსუ-ს რომელი სტრუქტურული ერთეულის ჩართულობაა საჭირო პროექტის/ღონისძიების რეალიზებისათვის.		

4. პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. შესრულებისათვის აუცილებელი მატერიალური და ფინანსური რესურსები

მოთხოვნები სამეურნეო რესურსებისადმი	#	ინფრასტრუქტურა, აღჭურვილობა, სხვ.
	1.	მიუთითეთ ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, რომელიც საჭიროა პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. რეალიზებისათვის. მიუთითეთ სპეციალური მოთხოვნები (არსებობის შემთხვევაში) ინფრასტრუქტურისა და აღჭურვილობისადმი (მაგ., რაოდენობა, დასახელება, სხვ.)
2.		

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. ნაშრომის ბიუჯეტი (ერთეული - ლარი)	#	ხარჯების დასახელება	თანხა
	1.	აუცილებელია ტექსტური განმარტების სახით პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. დაგეგმილი ხარჯების (მაგ., შრომის ანაზღაურება, მივლინებების, აღჭურვილობის, მასალების შემენა, სხვ.) აღწერა	
2.			
სულ:			

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. ბიუჯეტი (ერთეული: ლარი)														
#	ხარჯების დასახელება (პასპორტის მიხედვით)	თანხა თვეების მიხედვით (ერთეული: ლარი)												სულ
		I კვარტალი			II კვარტალი			III კვარტალი			IV კვარტალი			
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
1.														
...														
სულ:														

5. პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. შესრულებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

გვარი, სახელი	შესასრულებელი მოვალეობები (ფუნქციები)	საქმიანობის ვადა
მიუთითეთ ყველა პირი, ვინც იქნება ჩართული პროექტის/ნაშრომის/სხვ. ნაშრომის შესრულებაში		

6. პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. შესრულების გეგმა-კალენდარი

დეტალიზაცია	მიუთითეთ პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შესრულების შემადგენელი ეტაპები და დეტალები			
თვე	დაგეგმილი ამოცანა	შესაბამისი აქტივობა	დაგეგმილი შედეგი	შემსრულებელი
20 წელი				
1.				
....				
20 წელი				
1.				
....				

7. პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. შესრულებაში მონაწილეობის (ზემოთ მითითებული ფუნქციების/პირობების შესრულების) თანხმობა

გვარი, სახელი	საკონტაქტო ინფორმაცია		ხელმოწერის თარიღი	ხელმოწერა
	ელ. ფოსტა	საკონტაქტო ტელ.		



--	--	--	--	--



მფ-2-№03-06-10.01.2023

დანართი #03

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა

«დასახელება»

<წელი>

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების
ხელმძღვანელი/ ავტორი:

სახელი, გვარი

პროექტის/ღონისძიების ხარჯთაღრიცხვა

პროექტის/ღონისძიების დასახელება	მიუთითეთ პროექტის/ღონისძიების დასახელება
სტრუქტურული ერთეული/ქვესტრუქტურული ერთეული	მიუთითეთ ფაკულტეტი, კათედრა და/ან სხვ., რომელიც ახორციელებს პროექტს/ღონისძიებას
პროექტის/ღონისძიების განხორციელების პერიოდი/თარიღი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების თარიღი, თვე, წელი)
ხარჯთაღრიცხვის შედგენის პერიოდი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების თარიღი, თვე, წელი)

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების/სხვ. დამტკიცებული ბიუჯეტი (ერთეული: ლარი)														
#	ხარჯების დასახელება (პასპორტის მიხედვით)	თანხა თვეების მიხედვით (ერთეული: ლარი)												
		I კვარტალი			II კვარტალი			III კვარტალი			IV კვარტალი			სულ
		1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	
2.														
...														
	სულ:													

საფინანსო სამსახურის უფროსი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-
კანცლერი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა

პროექტის/ღონისძიების
ხელმძღვანელი/ ნაშრომის ავტორი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა



მფ-2-№04-06-10.01.2023

დანართი #04

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების ანგარიშგება

«დასახელება»

<წელი>

პროექტის/ღონისძიების ხელმძღვანელი/
ნაშრომის ავტორი:

სახელი, გვარი

პროექტის/ნაშრომის/ღონისძიების ანგარიშგება

პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის დასახელება	მიუთითეთ პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის დასახელება
სტრუქტურული ერთეული/ქვესტრუქტურული ერთეული	მიუთითეთ ფაკულტეტი, კათედრა და/ან სხვ., რომელზეც შესრულდა პროექტი/ღონისძიება/ნაშრომი
პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შესრულების პერიოდი/თარიღი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების თარიღი, თვე, წელი)
ანგარიშგების შედგენის პერიოდი	მიუთითეთ შესაბამისი თარიღ(ებ)ი ან პერიოდი (დაწყების და დასრულების თარიღი, თვე, წელი)
დამტკიცებული ბიუჯეტი (ერთეული: ლარი)	მიეთითება პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის პასპორტის მიხედვით

პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის ბიუჯეტის შეფასება

#	ბიუჯეტში გათვალისწინებული ხარჯები (პროექტის/ღონისძიების პასპორტის მიხედვით)	თანხა (ერთეული: ლარი)									
		I კვარტალი		II კვარტალი		III კვარტალი		IV კვარტალი		სულ	
		დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.
1.											
...											
	სულ:										

დაგეგმილ და რეალურ ხარჯებს შორის სხვაგვების დასაბუთება

#	დასახელება	დასაბუთება
1.		
...		

დაუგეგმავი ხარჯები

#	დასახელება	თანხა (ერთეული: ლარი)									
		I კვარტალი		II კვარტალი		III კვარტალი		IV კვარტალი		სულ	
		დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.	დაგე.	რეალ.
1.											
...											
	სულ:										

დაუგეგმავი ხარჯების დასაბუთება

#	დასახელება	დასაბუთება
1.		
2.		

პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შესრულების ანგარიშში

ივსება ანგარიშის წარდგენაზე პასუხისმგებელი პირის მიერ, რომელიც მითითებულია „პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის პასპორტში. აღწერა უნდა იყოს ამომწურავი და მკაფიო. მიუთითეთ დაგეგმილი მიზნების და შედეგების მიღწევის დონე, აღწერეთ სირთულეები და პრობლემები (არსებობის შემთხვევაში), რომლებმაც გავლენა მოახდინეს პროექტის/ღონისძიების/ნაშრომის შესრულების პროცესზე.

პროექტის/ღონისძიების ხელმძღვანელი/ ნაშრომის ავტორი სახელი, გვარი

საფინანსო სამსახურის უფროსი სახელი, გვარი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი-კანცლერი სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი ხელმოწერა

ხელმოწერის თარიღი ხელმოწერა



ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტი
სამეცნიერო საქმიანობის სამოქმედო გეგმა

<წელი>

სამოქმედო გეგმა

№	თვე	აქტივობა		შემსრულებელი/მონაწილე			პასუხისმგებელი პირი
		დასახელება	სტატუსი	გვარი, სახელი	სტატუსი	მონაწილეობის ფორმა	
1.	01.2017	მაგ., სემინარი „.....“	საფაკულტეტო	??, ასისტ. პროფ.	განმახორციელებელი	
2.	01.20..-12.20..	მაგ., პროექტი „.....“	საუნივერსიტეტო	?? ?? ??, პროფ., ასოც. პროფ., სტუდ.	ხელმძღვანელი მონაწილე მომწილე	
3.	02.20..	მაგ., კონფერენცია „.....“	საუნივერსიტეტო	?? ?? ??, პროფ., ასოც. პროფ., ფაკულტეტის სტუდენტი	მოხსენება მოხსენება მოხსენება	
4.	03. 20..	მაგ., კონფერენცია „.....“	საუნივერსიტეტო (სტუდენტური)	?? ??, ფაკულტეტის სტუდენტი, ფაკულტეტის სტუდენტი	მოხსენება მოხსენება	
5.	03. 20..-12. 20..	მაგ., ნაშრომი (სახელმძღვანელო) „.....“	საუნივერსიტეტო	?? ??, პროფ., ასოც. პროფ.	ავტორი თანაავტორი	
...	04. 20..	მაგ., კონფერენცია „.....“	საერთაშორისო	?? ??, ფაკულტეტის სტუდენტი	მოხსენება მოხსენება	

ფაკულტეტის დეკანი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა

კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი

სახელი, გვარი

ხელმოწერის თარიღი

ხელმოწერა



ცვლილებების აღრიცხვის ფურცელი

ცვლილებების №	ცვლილებების თარიღი	ცვლილებების შინაარსი